შპს “ თეისთი სნეკ ”

არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ----------4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..... 5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 9
4. შემოსავლები..... 9
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 9
6. ადმინისტრაციული ხარჯები..... 9
7. ფულადი სახსრები 10
8. ძირითადი საშუალებები..... 10
9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 11
10. პირობითი ვალდებულებები..... 11
11. დირექტორებსა და უმაღ. რანგის ხელმძღვანელ. გაცემული ანაზღაურება.....12
12. ბალანსს შემდგომი მოვლენები..... 11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	7	241,878	1,653,992
გადახდილი ავანსები		0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,868,024	1,785,000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		1,245,755	1,295,814
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,355,657	4,734,806
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	17,133	9,672
არამატერიალური აქტივები		-	3,756
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,133	13,428
სულ აქტივები		3,372,790	4,748,234
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,667,785	4,169,060
დაქირავებულთა გასამრჯელოები		14,728	5,272
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,682,513	4,174,332
სულ ვალდებულებები		4,682,513	4,174,332
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		125000	125000
გაუნაწილებელი მოგება		(1,434,723)	448,902
სულ კაპიტალი		(1,309,723)	573,902
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,372,790	4,748,234

ირაკლი ჭანტურია
დირექტორი

რუსუდან სალია
ბუღალტერი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	15,497,875	14,459,843
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(13,707,902)	(11,413,995)
საერთო მოგება		**1,789,973**	**3,045,848**
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(855,214)	(530,863)
კომერციული ხარჯები	6	(2,476,549)	(1,734,580)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(81,175)	(20,833)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		0	0
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**(1,622,965)**	**759,572**
ფინანსური შემოსავალი	6	138,373	113,638
ფინანსური ხარჯები	6	(399,033)	(423,608)
მოგება დაბეგვრამდე		**(1,883,625)**	**449,602**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**(1,883,625)**	**449,602**
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:			
კომპანიის მფლობელებს		**(1,883,625)**	**449,602**
არამაკონტროლირებელ წილს			**-**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თეისთი სნეკ” (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომერია 405055915. კომპანია დარეგისტრირდა 2014 წლის 25 ივლისს და ის საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან

2021 წლის 1 იანვრიდან 13 დეკემბრამდე შპს „თეისთი სნეკ" დამფუძნებელი იყო: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბესთგრუპ პარტნერს ლიმითედ /კვიპროსი/, ავლონოს 1 ,,მარია ჰაუს" 1075, ნიქოზია, კვიპროსი - 100%. 2021 წლის 13 დეკემბრიდან - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ომელია FN 393098 k /ავსტრია/ - რომლის ბენეფიციარები არიან: ივან ომელჩენკო (უკრაინის მოქალაქე) – 50%, ანასტასია ომელჩენკო (უკრაინის მოქალაქე) – 50%.

შპს „თეისთი სნეკ” კომპანიია დაარსების დღიდან წარმოადგენს ბრენდების «Сан саныч», «Чипстерс», «Флинт», «Хрум», «BIG BOB» და სხვა, რეგიონალურ დისტრიბუტორს საქართველოში.

შვილობილი კომპანია

კომპანია შპს „თეისთი სნეკს“ შვილობილი კომპანია არ გააჩნია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2. მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

2.3. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

კომპანია შპს „თეისთი სნეკ”-ს შვილობილი კომპანია არ გააჩნია.

2.4. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, შემოსავალი აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული კომერციული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის კომერციული გაცვლითი კურსით.

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2.6. გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ")

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივებისა და მომსახურებების შესყიდვისას წარმოშობილი ბრუნვის გადასახადი არის დაუბრუნებადი საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება
  აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2.7. ფულადი სახსრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში.

2.8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი სასულებების ჯგუფები	საექსპლუატაციო ვადა
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-10 წლამდე
სხვა	1-3 წლამდე

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 5 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის მარაგს წარმოადგენს გასაყიდად გამიზნული საქონელი.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ რეალიზაციიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

2.13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება/ზარალში.

2.14. მიღებული სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.15. იჯარა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.16. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. შემოსავლები

	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	15,497,875	14,459,843
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	0	0
სულ შემოსავალი	15,497,875	14,459,843

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(13,707,902)	(11,413,995)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(13,707,902)	(11,413,995)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(499,544)	(333,881)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,932)	(1,155)
კომუნალური ხარჯები	(7,603)	(9,598)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(1,373)	(1,373)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		
მივლინების ხარჯები	(3,124)	(3,352)

იჯარის ხარჯები	(99,152)	(72,773)
საწვავის ხარჯები	(17,695)	(11,018)
კონვერტაციის ხარჯი	(93,087)	(18,503)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(13,500)	(12,844)
სანოტარო და თარჯიმნის მომსახურების ხარჯი	-	-
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯი	(2,476,549)	(1,341,586)
ტრანსპორტირებისა (მიწოდების) ხარჯები	(118,204)	(390,304)
სხვა ხარჯი	(81,175)	(89,889)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,412,938)	(2,286,276)

ბანკში ანაბარზე განთავსებული თანხის საპროცენტო შემოსავალი	89,824	91,290
ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	48,549	22,348
საგადასახადო შეღავათით მიღებული შემოსავალი	-	-
ვალუტის გადაფასებით მიღებული ზარალი	(399,033)	(423,608)
ფინანსური ხარჯები და შემოსავლები	(260,660)	(309,970)

7. ფულადი სახსრები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	241,878	1,653,992	197,485
ნაღდი ფული სალაროში	0	0	0
სულ ფულადი სახსრები	241,878	1,653,992	197,485

8. ძირითადი საშუალებები

	საოფისე ავეჯი	ელექტრონული მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	281	2,401	2,723	789	6,194
შესყიდვები	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	4,633	-	4,633
ცვეთის ხარჯი	-	-	(1,155)	-	(1,155)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	281	2,401	6,201	789	9,672
შესყიდვები	-		9,393		9,393
გასვლები	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი		-	(1,932)	-	(1,932)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	281	2,401	13,662	789	17,133

კომპანია იყენებს შეფასების თვითღირებულების მეთოდს
ცვეთის მეთოდი: წრფივი
ძირითადი საშუალებები არ არის ჩადებული სესხის უზრუნველყოფაში.

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.
2025 წლის და 2024 წლის მანძილზე კომპანიას არ განუხორციელებია ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

10. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ,,კომპანიის“ ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიას აქვს აღიძრული სარჩელები დებიტორების მიმართ.

11.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	36,000	36,000
სულ	36,000	36,000

12. ბალანსს შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.